პროლეტარიელნო, ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 1943 წ. № 268 (6893). ფასი 20 კაპ.

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲚᲝᲗ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲜᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** მოწოდებას საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები უპასუხებენ ახალი საწარმოო აღმავლობით. კოლმეურნე გლეხობა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, რომ მომავალ წელს უხვი მოსავალი მიიღონ და რაც შეიძლება მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მისცენ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას, ხოლო სოციალისტურ მრეწველობას — ნედლეული. კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში უდიდესი მტს-ების როლი. სატრაქტორო პარკის სრული ნაყოფიერებით გამოყენება, მისი ტექნიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება — ეს არის ერთ-ერთი მძლავრი პირობა 1944 წლის საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის.

ვორკის ოლქის კამენსკის მტს-ის და ულიანინის ოლქის ბეუეცკის მტს-ის სახელოსნოს კოლექტივებმა წინადადება წამოაყენეს მოეწყოს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის წარმატებით ჩასატარებლად, საგაზაფხულო თესვისათვის ყველა იარაღ-მანქანისა და მისაბმელი ინვენტარის ყოველმხრივ მოსამზადებლად. კამენსკელებისა და ბეჟეცკელების ეს კეთილშობილური თაოსნობა ყოველმხრივ მისასალმებელია.

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს ბევრმა მტს-მა გვიჩვენა ოპერატიული მუშაობის ნიმუში და ისინი მზარდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს საწარმოო დავალებათა შესრულებაში. იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების გაშლილ ინიციატივას, მაქსიმალურად იყენებენ შინაგან რესურსებს ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების აღდგენისა და დამზადების საქმეში, სადაც სარემონტო სახელოსნოებში შრომა კარგად არის მოწყობილი, საუკეთესო შედეგებს აღწევენ. გულრიპშის, ქობულეთის, გეგეჭკორის, ხობის, ჭარელის, და სხვა მტს-ებში გადამეტებით შეასრულეს ტრაქტორების რემონტის 1943 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა. წულუკიძის მტს-მა მეოთხე კვარტალის გეგმა 187,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების აღდგენისა და დამზადების წლიური გეგმა— 227,8 პროცენტით, ცხაკაიას პირველმა მტს-მა გადამეტებით შეასრულა მეოთხე კვარტალის გეგმა, ხოლო ნაწილების აღდგენისა და დამზადებისა — 152,4 პროცენტით. მოწინავე მტს-ები იბრძვიან იმისათვის, რომ მთლიანად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა. მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგიერთ მტს-ში ტრაქტორების რემონტი შეუწყნარებლივ ჭიანურდება. ეს ითქმის აბაშის, საგარეჯოს, თელავის, სოდახლოს, ალაზნის, ახალციხისა და სხვა მტს-ებზე. 25 დეკემბრისათვის ახალსოფლის, სტალინირის, თიანეთის, ახმეტის, სართიჭალის მტს-ებს არც ერთი ტრაქტორი არ ჰქონდათ გამოშვებული რემონტიდან. ტრაქტორების საზამთრო რემონტის გეგმების მთლიანად და ხარისხოვნად შესრულება—ეს არის ფრონტისა და სამშობლოს დაკვეთა, და იგი უნდა შეასრულოთ ისე, როგორც ამას ომიანობის ვითარება მოითხოვს.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკების საბრძოლო ამოცანაა — სერიოზული ყურადღება მიაქციონ ჩამორჩენილ მტს-ებს და ყველა მტს-ში უზრუნველჰყონ ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულება ხარისხის მტკიცედ დაცვით.

ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმების შესასრულებლად საჭიროა სარემონტო სახელოსნოებმა მთლიანად გამოიყენონ ჩარხების სიმძლავრე, ყაირათიანად ხარჯონ სათადარიგო მასალები, მაქსიმალურად გამოიყენონ შინარეზერვები სათადარიგო ნაწილების აღდგენისა და დამზადების საქმეში, საუკეთესოდ ეწაყონ შრომა სარემონტო სახელოსნოებში. ფრიად პასუხსაგები დავალებები აქვთ მიცემული მთელ რიგ საწარმოებს. მტს-ები მოელიან მრეწველობისაგან ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს. ამ მხრივ თბილისის 26 კომისრის სახელობის და თბილისის კალინინის სახელობის ქარხნებში კარგად მუშაობენ. მაგრამ ეს არ ითქმის ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის შესახებ, რომელიც სათადარიგო ნაწილების დამზადების დაკვეთებს დროულად ვერ ასრულებს. სატრაქტორო ნაწილების დროულად გამოშვება მრეწველობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა.

საკოლმეურნეო სოფელი წარმატებით ამთავრებს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს. ახლა ამოცანა ის არის, რომ 1944 წელს მივაღწიოთ პროდუქტების უფრო მეტ სიუხვეს. მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ საუკეთესოდ მოვამზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის ყველა ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანა. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მტს-ების მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურებიან კამენსკელ მტს-ის და ბეჟეცკის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს კოლექტივთა შესანიშნავ თაოსნობას. საკოლმეურნეო სოფლის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების გაშლილ ინიციატივას და ყოველდღიური ოპერატიულ-კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიონ სოციალისტურ შეჯიბრებას. სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მტს-ების პარკის რემონტზე უნდა ჩაებას ყველა მტს-ი, ყველა სარემონტო სახელოსნო. მათ უნდა იკისრონ კონკრეტული ვალდებულებანი და უზრუნველჰყონ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება. სოციალისტური შეჯიბრების ძალა მის მასობრიობაშია. „სოციალისტური შეჯიბრება ამბობს, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ერთნი მუშაობენ ცუდად, მეორენი კარგად, მესამენი უკეთესად, — **დაეწიე საუკეთესოებს** და მიაღწიე **საერთო აღმავლობას**“. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა ჩასწვდნენ შეჯიბრების საკითხებს, მის მსვლელობას, დაეხმარონ ჩამორჩენილებს და მით უზრუნველჰყონ რემონტის გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულება.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 6 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებულია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხუთი გარდამავალი წითელი დროშა, რომლებიც გადაეცემა რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს, მტს-ებისა და კოლმეურნეობათა ტრაქტორების რემონტის თვიური გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის. დროშასთან ერთად მათ მიეცემათ პრემია 300 ათასი მანეთის რაოდენობით. არსდება აგრეთვე პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის მიწსახკომის 35 გარდამავალი წითელი დროშა იმ მტს-ების, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნებისათვის, რომელნიც პირველ ადგილს დაიკავებენ შეჯიბრებაში ტრაქტორების რემონტის თვიური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების დროს, დროშასთან ერთად მათ მიეცემათ ფულადი პრემია 20 ათასი მანეთის რაოდენობით. ეს უდიდეს სტიმულს ჰქმნის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად რემონტის საქმეში.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, წარმატებით შევასრულოთ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების და მისაბმელი ინვენტარის რემონტი — ასეთია სოფლის მეურნეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანა.

Ბ-ᲜᲘ ᲔᲓ. ᲑᲔᲜᲔᲨᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ Ⲙ. Ⲓ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ, Ⲓ. Ⲃ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ Ⲟ. Ⲙ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ

საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან გამგზავრების წინ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დ-რმა ედ. ბენეშმა ამხ. მ. ი. კალინინს, ამხ. ი. ბ. სტალინს და ამხ. ვ. მ. მოლოტოვს შემდეგი დეპეშები გაუგზავნა:

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲡ

ღრმად პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარე,

ჩემს უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ მე და ჩემს თანამშრომლებს თქვენს დიდებულ დედაქალაქში, რომლის კედლებზედაც დაიმსხვრა მტრის შემოსევის ტალღა და რომელიც მუდამ ძვირფასი იქნება თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხისათვის.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ედუარდ ᲑᲔᲜᲔᲨᲘ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

ღრმად პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარე,

ვთოვეთ თქვენს ქვეყანას ღრმა კმაყოფილებისა და მადლობის გრძნობით საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი, რომელმაც თავისი ბრძნული პოლიტიკით განამტკიცა ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობა. დარწმუნებული ვარ გამარჯვებაში, რომელსაც ჩვენ გვიმზადებენ გმირი წითელი არმიის სახელოვანი საგმირო საქმეები, ეჭვი არა მაქვს, რომ ჩვენი ხალხების თანამშრომლობა უფრო და უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ედუარდ ᲑᲔᲜᲔᲨᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲡ ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲡ

ღრმად პატივცემულო ბ-ნო სახალხო კომისარო,

ვთოვეთ რა თქვენს გმირულ ქვეყანას, ჩემს გულითად სალამს გიძღვნით და ღრმა მადლობას მოგახსენებთ თქვენი გულთბილი მიღებისათვის. საუბრები, რომლებიც მე პატივი მქონია მეწარმოებინა თქვენთან მოსკოვში ჩემი ყოფნის დროს, სამუდამოდ ჩამრჩება მეხსიერებაში და კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხების მეგობრობას.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ედუარდ ᲑᲔᲜᲔᲨᲘ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ ᲤᲠᲐᲛᲕᲐᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ

26 დეკემბერს ტალინგრადში ამუშავდა ქალაქის ტრამვაის პირველი რიგი. ხაზის სიგრძე 7 კილომეტრია. ქალაქის ცენტრიდან ქარხანა „კრასნი ოკტიაბრამდე“. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

28 დეკემბრის განმავლობაში ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ქალაქი კოროსტენი, ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი პოტიევკა, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბეხი, კოზინოვკა, ზლოგიჩი, სტარიკი, დოგრინი, ბუდილოვკა, ვიხლია, სტარაია გუდა, ოგლიტკი, ზანკი, ლიახოვაია, ჩაიკოვკა, ფილიპოვიჩი, კაიტანოვკა, გერიოზოვკა, მინეიკი, ტესნოვკა, სმოლოვკა, ნეხვოროზჩი, მოიისეევკა, პავოლიჩი.

კიროვოგრადის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

27 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 105 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 15 თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობენ შეტევითს ბრძოლებს, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის მიერ ზედიზედ მოტანილი თვრამეტი კონტრიერიში და მოსპეს 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. განდევნეს რა გერმანელები ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან, ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ორი საარტილერიო ბატარეა და სამარი მასალების საწყობი. ვიტებსკის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე, ეყრდნობოდა რა გამაგრებულ პუნქტებს და ადგილზე გბატონებულ მაღლობებს, ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა ერთი დასაყრდენი პუნქტის რაიონში, რომელიც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. საბჭოთა მებრძოლებმა წარმატებითი მანევრი მოახდინეს, გადამწყვეტი დარტყმა აგებეს გერმანელებს და დიაკავეს გერმანელთა თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი. ამ ბრძოლაში გაყლეტილია ერთი ბატალიონამდე ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 11 ტანკი და 3 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ჩვენი ქვეითები და ტანკისტები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და ქალაქ კოროსტენშეენს მისადგომებზე გავიდნენ. გერმანელები მთელი ძალღონით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ქალაქი და შუბოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს მდინარე ტეტერევი და ჩრდილოეთიღან და სამხრეთიდან შეიჭრნენ კოროსტენშეენში. ქუჩებში გაჩაღებულ გაადფთრებულ ბრძოლებში მოწინააღმდეგის ჯარები, რომლებიც ქალაქს იცავდნენ, მოსპობილ იქნენ. დაზიანებული და დამწვარია 35 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი და სხვადასხვა ყალიბის 50-ზე მეტი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი სამარი მასალები, სურსათი და სხვადასხვა სამხედრო მასალა. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი პოტიევკა და 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთ რაიონში 6 შენაერთის ნაწილები, რომლებიც სწრაფად მიიწევდნენ წინ, გარშემოერტყნენ მოწინააღმდეგის ჯარების ჯგუფს და დღის დამლევს მოსპეს იგი, ხელთ ვიგდეთ 6 ვარგისი ტანკი, 26 ქვემეხი, 10 ათასი ნაღმი, 30 ათასი ყუმბარა, ერთ მილიონამდე ვაზნა და 110 ავტომანქანა. ტყვედ წამოყვანილია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

კიროვოგრადის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ ფრონტის ვიწრო უბანზე თავი მოუყარა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებს და იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. გაჩაღდა ძაძაუული ბრძოლები. მტრის ტანკებმა ვერ შესძლეს გამოჭრილიყვნენ საბჭოთა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის ფარდაში, დიდი ზარალი მოუვიდათ და პირველივ ზღუდეზე დაიხიეს. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა 30-ზე მეტი დამწვარი და დაზიანებული ტანკი და 6 თვითმავალი ქვემეხი. მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

* * *

პინსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა დეკემბრის ათი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო ფრონტის ხაზისაკენ მამავალი გერმანელთა ორი სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად მოკლული და დაჭრილია სულ ცოტა 200 ჰიტლერელი. გარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა 8 კილომეტრზე მეტ მანძილზე გამოსჭრეს მოწინააღმდეგის კავშირგაბმულობის სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი.

* * *

გერმანელთა 68-ე ქვეითი დივიზიის 169-ე პოლკის მე-4 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა კარლ ჰუბერტმა განაცხადა: „ოქტომბერში მე შევესების შემადგენლობაში 169-ე პოლკში მოვხვდი. ამ დროს მე-4, მე-8 და მე-12 სატყვიამფრქვევო ასეულები, მათ მიერ განცდილი ძლიერი ზარალის გამო, შეერთებულ იქნენ ერთ ქვეგანაყოფად. ნოემბერში, ახალი შევსების მოსვლის შემდეგ, ასეულები აღდგენილ იქნენ მალე რუსები ჩვენს უბანზე შეტევაზე გადმოვიდენ. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლმა უდიდესი ზარალი მოგვაყენა. ჯარისკაცები, რომლებიც ფრონტზე ომის დასაწყისიდანვე იმყოფებიან, ამტკიცებენ, რომ ასეთი ცეცხლი მათ ჯერ არასოდეს არ უნახავთ. რუსების ტანკებმა გაარღვიეს ჩვენი თავდაცვა და ზურგში მოგვეტანენ. 68-ე დივიზია ფაქტიურად განადგურებულ იქნა. სამი დღის ბრძოლების შემდეგ 169-ე და 196-ე პოლკებში ერთად სულ 200-მდე კაცი-ღა დარჩა. წინათ დივიზიას, რომელიც პირადი შემადგენლობის ნახევარს ან თუნდაც ნახევარზე ნაკლებს დაჰკარგავდა, სხვა დივიზიით შესაცვლიდნენ და შესავსებად ზურგში წაიყვანდნენ სოლმე. ახლა კი შენაერთი, რომელსაც ჯარისკაცთა 70-80 პროცენტი ჰყავს დაკარგული, ბრძოლიდან არ გამოჰყავთ. მას აიძულებენ იბრძოლოს მანამდე, ვიდრე „კანასკნელი ოცეული არ იქნება დამარცხებული“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელ ფაშისტ არამზადათა მხეცობის შესახებ: „როცა წითელ არმიის ნაწილებმა გომელის ოლქის დასახლებული პუნქტი ნოვოსოლოკი დაიკავეს, ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელთა სანგრებში იპოვნეს ჰიტლერელების მიერ მხეცურად ნაწამები საბჭოთა მებრძოლების 27 გვამი. გამორკვეულია, რომ წითელარმიელები დაჭრილები ჩავარდნენ ტყვედ. ჭრილობები მათ შეხვეული აქვთ საბჭოთა შესახვევი მასალებით. დაჭრილი მებრძოლები ტყვედ რომ ჩაიგდეს, გერმანელებმა ისინი ეკლიანი მავთულით შეპკრეს და მხეცურად აწამეს. წითელარმიელ სადიკ სადირბოვეს ისინი კოცონზე სწვავდნენ. მებრძოლთა უმრავლესობას მოჭრილი აქვს სხეულის კიდურები და ყურები“.

აქტს ხელს აწერენ: პოდპოლკოვნიკი ბ. რიაბენკო, კაპიტანი მ. ვრამი, კაპიტანი ა. სტაროდუბცევი, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ზ. ზენინი, ლეიტენანტი კარცევი, სერჟანტი ს. პიჩერინი.

ᲕᲘᲢᲔᲑᲡᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ, 27 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). განთიადამდე დიდი ხნით ადრე 6 შენაერთის ნაწილები ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი საარტილერიო შემზადების მოუხდენლად დაიძრნენ პირველივე პოზიციებიდან და ღამის საფარველით მიუახლოვდნენ გერმანელების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტებს.

ამის წინ ჩატარებულმა დაზვერვამ გამოარკვია, რომ მოწინავე პუნქტებში არის მხოლოდ მტრის საბრძოლო დაცვა, ხოლო გერმანელთა უფრო ძლიერი გარნიზონები განლაგებული არიან რამდენადმე უფრო ღრმად. ჩვენმა ავანგარდებმა მოკლე დარტყმებით საკმაოდ მალე დაიკავეს ეს დასახლებული პუნქტები და განთიადისას ზედ მიადგნენ მტრის დასაყრდენ პუნქტებს. ასეთმა უეცარმა და სწრაფმა მოქმედებამ საშუალება მოგვცა დაგვეშალა მტრისათვის მათი სიმაგრეების ხაზზე შეტევის მომზადება. არტილერისტები, რომლებიც თავიანთ ქვემეხებს სასოფლო გზებით და უკვლეგ თოვლში მიათრევდნენ, ქვეითებთან ერთდროულად აღმოჩნდნენ მტრის დასაყრდენი პუნქტების წინ. სანამ ქვეითები ხევებითა და ჩირგვნარებით უახლოვდებოდნენ ფაშისტთა სიმაგრეებს, არტილერისტები თითქმის გერმანელ გარნიზონთა თვალწინ ჩნდნენ ქვემეხებს, სასროლად ამზადებდნენ მათ და მაშინვე იწყებდნენ პირდაპირი დამიზნებით სროლას.

გერმანელთა დასაყრდენი პუნქტები, როგორც წესი, ამ რაიონში სოფლებში კი არ იყვნენ განლაგებულნი, არამედ მათს მახლობლად მდებარე მაღლობებზე, საიდანაც ზორს მოსჩანდა მიდამოები და შესაძლებლობა იყო ყოველი მიმართულებით გაეჩაღებინათ სროლა ამ მიდამოებში. მზვერავთა მიერ შეკრებილმა ცნობებმა, რომლებიც წინასწარ გადაეცა არტილერისტებს, საშუალება მისცა ბატარეელებს მაშინვე გამოერკვიათ საჭირო სამიზნეები და სროლა აეტეხათ მათთვის.

მტრისათვის მოულოდნელი ცეცხლითი შემზადებისთანავე ჩვენი ქვეითების მეჭრეები თითქოს მიწიდან ამოძვრნენ. სატყვიამფრქვევო ცეცხლის საფარქვეშ, რომელიც თავს დაატყდა მტრის ჯერ კიდევ ჩაუხშობელ ზოგიერთ საცეცხლე წერტს, მებრძოლები გერმანელთა სანგრებში ხტებოდნენ და ხელჩართულ ბრძოლას უმართავდნენ ჰიტლერელებს, იქ, სადაც გერმანელები განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გაწევას, საბჭოთა ქვეითები დასაყრდენი პუნქტების გარშემო სტოვებდნენ საფარ რაზმებს, გვერდს უვლიდნენ ამ პუნქტებს და წინ მიიწევდნენ. ამ დროს ჩვენი მეავტომატეების პატარ-პატარა ჯგუფები მტრის განლაგებაში ზურგიდან შედიოდნენ და ანადგურებდნენ მას.

ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ფაშისტთა თავდაცვის პირველი ხაზი რომ გაიარეს, დასაყრდენ პუნქტების მეორე ზოლს წააწყდნენ, რომელიც აგრეთვე ჩრდილოეთიდან იცავდა ვიტებსკ-პოლოცკის გზატკეცილს. ამ გამაგრებულ პუნქტებს — გრიადას, დუბოვოს და სხვებს — იცავდნენ გერმანელთა რჩეული ჯარები ეგრეთწოდებული საავიაციო-საველე დივიზიიდან, რომელიც დანიშნული იყო სადესანტო ოპერაციებისათვის, მაგრამ ბრძოლაში გამოყენილ იქნა როგორც ქვეითი ჯარის ნაწილი.

რამდენიმე ასეთი დასაყრდენი პუნქტის ერთდროული იერიშით გზატკეცილის მახლობლად მტრის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა და საბჭოთა ჯარები გავიდნენ ვიტებსკ-პოლოცკის გზატკეცილზე.

ჩვენმა ნაწილებმა განავითარეს შეტევა, 27 დეკემბერს დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და გადასჭრეს ვიტებსკ-პოლოცკის რკინიგზა. გერმანელებს სასწრაფოდ მოჰყავთ აქ თავიანთი მაშველი ძალები, ცდილობენ შეაჩერონ ჩვენი შეტევა და ხშირად მოაქვთ კონტრიერიშები. საბჭოთა მეომრები მამაცურად იგერიებენ მტრის ყველა მოხდომას და სასტიკი ბრძოლებით ათავისუფლებენ ბელორუსულ სოფლებს.

ჰიტლერელებმა დღის განმავლობაში ოთხჯერ მოიტანეს კონტრიერიში იმ პოზიციებზე, რომლებიც კაპიტან ილინსკის ასეულს უკავია. მაგრამ მტერი ყოველთვის გამანადგურებელ წინააღმდეგობას ხვდებოდა და უკან იხევდა. ბრძოლას გადამწყვეტ მომენტში კომკავშირელი აბკალოვი მტრის სასტიკ ცეცხლქვეშ წამოდგა, წელში გაიმართა და ძახლილი „საბჭოთა სამშობლოსათვის, შეშბლერური ბელორუსიისათვის!“ წინ გაიჭრა. აბკალოვს გაჰყვა მთელი ასეული. მანძილი წითელარმიელებსა და ჰიტლერელებს შორის სწრაფად მცირდებოდა. ცეცხლითი ბრძოლა მალე ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა. გერმანელებმა ვერ გაუძლეს მძლავრ დარტყმას, დიდი ზარალი მოუვიდათ და უკან დაიხიეს.

ჩვენი ჯარების შეტევა ვიტებსკის მიმართულებით გრძელდება.

Ⲟ. ᲙᲐᲪᲚᲐᲜᲡᲙᲘ.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲮᲐᲠᲬᲚᲝ ᲜᲐᲫᲕᲘᲡᲮᲔ

28 დეკემბერს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში აინთო საახალწლო ნაძვისხე. იგი მოაწყო პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ ფრონტელთა და დედაქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის.

საუტრო ნაძვისხის გარშემო, მორთულ გაკაშკაშებულ დარბაზში თავი მოიყარა 2 ათასამდე მოსკოველმა მოსწავლემ. ბავშვებს უჩვენეს ორიგინალური საახალწლო ინტერმედია „გამარჯვების გასაღები“.

საღამომ მეტად მხიარულად ჩაიარა. თამაშობებს, ცეკვა-სიმღერას სცვლიდა გასართობი ატრაქციონები, კარუსელი, საქანელებზე ქანაობა. შეჯიბრება ზუსტად სროლასა, სიმარჯვეზე და ღონეში.

საახალწლო ნაძვისხე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გაგრძელდება 16 იანვრამდე. ამ ხნის განმავლობაში ნაძვისხეს ინახულებს 100 ათასი ბავშვი. (საკდესი).

„ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ“

დაიბეჭდა და გამოვიდა „აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორიის“ 1-ლი ტომი. პირველი ტომი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. უკვე მომზადებულია დასაბეჭდად მეორე ტომი, რომელიც შეიცავენილია აზერბაიჯანული ლიტერატურისადმი XIX საუკუნის დამდეგიდან ჩვენს დრომდე. (საკდესი).

13.000.000 ᲪᲐᲚᲘ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ („კომუნისტის“ საკ. კორ.). მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 13.000.000 ცალზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ციტრუსოვანთა დამზადების გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სოფ. ნატანების, მერიის, კინჭკათის, თხინვალის, ნაოობილევის და სხვა კოლმეურნეობებმა, ლიმონ-მანდარინის ტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობამ, წვერმალის, ლაითურის და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

გეგმის გადაჭარბებით დამზადებული მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი უკრაინის სსრ მშრომელთათვის იგზავნება. უკვე გაიგზავნა 10 ვაგონი.

Ლ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘ

ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲛᲔᲯᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ ᲓᲘᲛᲘᲪᲣᲡ, ᲜᲝᲡᲝᲕᲡ, ᲒᲣᲠᲔᲕᲘᲩᲡ, ᲤᲝᲙᲘᲜᲡ, ᲝᲡᲛᲔᲠᲡ, ᲞᲔᲖᲠᲣᲨᲡᲐ

მხურვალედ მივესალმები და ვულოცავ მაგნიტოგორსკელ მშენებელთ და მეტალურგებს დიდ საწარმოო გამარჯვებას.

მაგნიტოგორსკელებმა ოთხიათასიანი დროის მანძილზე კრასნ. ბანერ. ურალში უმაგალითო მოკლე ვადაში აგეს და ამოქმედეს უდიდესი ბრძოლიდ.

სამშობლო და ჩვენი სახელმწიფო ეროვნული არმია ალბათ ალბათ

პარტიული ცხოვრება

პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების ბოლშევიკური შემოწმებისათვის

ამხანაგ სტალინის მითითება შესრულების შემოწმების შესახებ სახელმძღვანელო პროგრამაა, რომლის განუხრელად განხორციელებისათვის ბოლშევიკურად უნდა იბრძოდეს პარტიული ორგანიზაცია, მისი ხელმძღვანელი მუშაკი.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიკომმა პლენუმზე სხვა საკითხებთან ერთად სპეციალურად განიხილა საკითხი რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მესამე მდივანმა ამხ. ა. ტაბატაძემ.

მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ რაიონის ბევრი პირველადი პარტორგანიზაცია დადგენილებათა შესრულების შემოწმების საქმეს სერიოზულ ყურადღებას აქცევს.

მარელისის გრეჩილაევჯეულობის ფაბრიკასთან არსებული პარტორგანიზაციის (პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. თხელიძე) უკანასკნელ ხანებში სამჯერ აქვს განხილული დადგენილებათა შესრულების შემოწმების საკითხი. მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შედეგად ფაბრიკა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში.

დადგენილებათა შესრულების შემოწმება კარგად მოაწყო აგრეთვე შამპანური კომბინატის პირველადმა პარტორგანიზაციამ.

მაგრამ არიან ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სადაც, მართალია, სისტემატურად იწვევენ პარტიულ კრებებს, იხილავენ აქტიურად საკითხებს, გამოაქვთ შინაარსიანი დადგენილებები, მაგრამ დადგენილებები ზოგჯერ შეუსრულებელი რჩება.

რაიკოოპკავშირის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიმდინარე წლის მარტში განიხილა დამხმარე მეურნეობის მოწყობის საკითხი, მაგრამ მისი შესრულებისათვის აღარავის უზრუნვია. ამის შედეგია ის, რომ რაიოოპკავშირის ხელმძღვანელობამ სრული უდარდელობა გამოიჩინა დამხმარე მეურნეობის მოვლა-პატრონობის საქმეში. მეურნეობის ფართობის დათესვა და მისი შემდგომი დამუშავება დაგვიანებით ხდებოდა, რის შედეგადაც სამი ჰექტარი ნთესიდან 6 ცენტნერი სიმინდი მიიღეს ტარო-წონით და აქედან ერთ მესამედზე მეტი დამპალი იყო.

ზოგჯერ მიღებული დადგენილებები ზოგადი და ორაზროვანია, სუსტია დადგენილებათა ენა და სტილი (მაგალითად, ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს სოფ. ქვების ეჩამეთის და სხვ. საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციებში).

რაიკომის პლენუმმა პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებანი დასახა.

დ. მაისურაძე

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პლენუმი

თელავი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მეექვსე პლენუმი, რომელმაც განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. ა. ხუჯაძის საანგარიშო მოხსენება რაიკომის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე. მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა რ. გობეჯიშვილმა, ა. კოხრეიძემ, ს. პაპუნაშვილმა, გ. კობაიაშვილმა, შ. ედიშერიძემ, გ. ბაბუეემა.

პლენუმმა რაიკომის განვლილი მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი სწორად. სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო პლენუმმა ამხ. ა. ხუჯაძე გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. გ. სეხნიაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. პ. გოგიშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის პლენუმი

თიანეთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მეექვსე პლენუმი. პლენუმმა განიხილა ოთხი საკითხი: 1943 წელს მეცხოველეობის ხელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, რაიონში საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დაყენების შესახებ, საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიონულ ორგანიზაციაში პარტიის რიგების ზრდის შედეგების შესახებ მეზუთე პლენუმიდან მეექვსე პლენუმამდე, საორგანიზაციო საკითხი.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. გედეშურის მოხსენება.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, რაიონის კოლმეურნეობებში შესრულებულია მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა მსხვილფეხა რქოანი საქონლის ხაზით 100,3 პროცენტით, ღორის—108,1 პროცენტით, ცხენის—108,2 პროცენტით, მეცხვარეობის—94,8 პროცენტით.

პლენუმმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში (ალოტი, გონდაურა, ზენამხარი, იარაჯულები) სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან ნამატის მოვლისა და შენარჩუნების საქმეს, დედა-პირუტყვის დაგრილების კამპანიას.

პლენუმმა მეორე საკითხზე მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. მ. ნოზაძის მოხსენება.

სამამულო ომის ვითარებაში რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ორგანიზაციის, ოჯახებთან ინდივიდუალური მუშაობის, ინვალიდებისა და ოჯახების დახმარების, ევაკუაციის, ევაკუირებულ ოჯახებთან ინდივიდუალური მუშაობის, ინვალიდებისა და ოჯახების დახმარების, ევაკუაციის, ევაკუირებულ ოჯახებთან ინდივიდუალური მუშაობის, ინვალიდებისა და ოჯახების დახმარების, ევაკუაციის, ევაკუირებულ ოჯახებთან ინდივიდუალური

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიკომის პლენუმი

ორჯონიკიძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). 28 დეკემბერს ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიკომმა პლენუმზე სხვა საკითხებთან ერთად სპეციალურად განიხილა საკითხი რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მესამე მდივანმა ამხ. ა. ტაბატაძემ.

მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ რაიონის ბევრი პირველადი პარტორგანიზაცია დადგენილებათა შესრულების შემოწმების საქმეს სერიოზულ ყურადღებას აქცევს.

მარელისის გრეჩილაევჯეულობის ფაბრიკასთან არსებული პარტორგანიზაციის (პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. თხელიძე) უკანასკნელ ხანებში სამჯერ აქვს განხილული დადგენილებათა შესრულების შემოწმების საკითხი. მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შედეგად ფაბრიკა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში.

დადგენილებათა შესრულების შემოწმება კარგად მოაწყო აგრეთვე შამპანური კომბინატის პირველადმა პარტორგანიზაციამ.

კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

საქ. ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა საკ. ალკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად, გამოიტანა დადგენილება საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების 6-დღიანი სემინარის ჩატარების შესახებ 1944 წლის 11 იანვრამდე. სემინარი მოეწყობა კომკავშირის ყველა სასოფლო რაიკომთან. სემინარის მიზანია მისცეს საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს აუცილებელი ცოდნა კომკავშირის შემქმნასა და მისი მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში ბოლშევიკური პარტიის როლის შესახებ, დაწვრილებით გააცნოს მათ სამამულო ომის მიმდინარე მომენტი, მისცეს პრაქტიკული რჩევა სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში, სოფლის ახალგაზრდობას შორის პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამხედრო-ფიზიკულტურულ მუშაობაში კომკავშირის მონაწილეობის საკითხებზე, განუმარტოს სკოლის მუშაობაში მონაწილეობისა და კომკავშირის ორგანიზაციული მუშაობის საკითხები.

ლექციები წაკითხულ იქნება შემდეგ თემებზე: დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი, საკ. კ. პ. (ბ)—კომკავშირის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეში, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში და კომკავშირული ორგანიზაციების როლი დისციპლინის განმტკიცების საქმეში, ქოხ-სამკითხველოების მუშაობა კომკავშირის მონაწილეობა, საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლება და საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, კომკავშირის წესდება, როგორ ჰოვაწყოთ და ჩავატაროთ კომკავშირული კრება და სხვ.

სემინარის ჩატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს რესპუბლიკაში. შერჩეული და დამტკიცებულია ლექტორთა კადრები. სემინარის ჩასატარებლად კარგად მოემზადნენ ქუთაისის, ზესტაფონის, ყარაიის და სხვა რაიონები. ზოგიერთ რაიონში. სემინარი შეუდგა მუშაობას.

დღეიმეგზ

ბერლინის დაბომბვის გამანადგურებელი შედეგები

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი (საკდესი). შვედური გაზეთი „აფტონტიდნინგენი“ იუწყება, რომ ბერლინზე 24 დეკემბერს ინგლისის თვითმფრინავების მიერ მოწყობილი თავდასხმა განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო თავისი შედეგების მიხედვით. დაზარალდა ქალაქის ყველა რაიონი. 27 დეკემბერს დილით კიდევ მძვინვარებდა ხანძარი დაახლოებით 20 ჰექტარ ფართობზე. ხანძრის ჩაქრობასა და ნამსხვრევებიგან ქუჩების გაწმენდაზე ათიათასობით კაცი მუშაობს.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 28 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ მე-15 საარმიო ჯგუფის ფრონტზე ამ უკანასკნელ დღე-ღამეში დიდი ოპერაციები არ მომხდარა. ინგლისის მერვე არმიის კანადის ჯარებმა ახალი წარმატებანი მოიპოვეს, სწმენდნენ რა მოწინააღმდეგისაგან ორტონას და სპობდნენ რა მტრის წინააღმდეგობის კვანძებს. სამხრეთით საფრანგეთის მაროკოს ჯარებმა იერიში მიიტანეს მნიშვნელოვან მაღლობზე, რომელსაც მტერი დაჟინებით ებღაუჭებოდა. ამერიკის ჯარებმა დაიკავეს კიდევ ორი მაღლობი და ამით დაამთავრეს თავიანთი პოზიციების გამაგრება მნიშვნელოვან მთიან მასივზე.

ავიაციამ გუშინ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მთელ რიგ სამხედრო ობიექტებზე იტალიაში და მტრის სავაჭრო გემებზე იუგოსლავიის სანაპიროსთან.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

ჟენევა, 28 დეკემბერი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, სლავონიაში მოქმედი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის გარნიზონს სოფელ გორიანში და ზაგრებ-ბელგრადისა და ოსიეკ-ჯაკოვოს რკინიგზის ხაზებს. 13 საათის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგის გარნიზონი განადგურებულ იქნა. წამოღებულია 4 მძიმე და 5 ხელის ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, 100 შაშხანა და სხვა სამხედრო ქონება. მოსპობილია გერმანელთა 4 ტანკი. მოკლულია ბევრი ჰიტლერელი გარნიზონის მეთაური კაპიტანიანად.

სრემში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს და გაანადგურეს მტრის გარნიზონი შიდის ახლოს. ამავე პარტიზანული რაზმის მებრძოლთა მეორე ჯგუფმა წარმატებითი თავდასხმა მოაწყო ჰიტლერელთა გარნიზონზე სოფელ სტრეშნიცაში. ზაგრების ახლოს პარტიზანულმა ნაწილებმა მოსპეს მტრის იერიოდონში ბანატაზე, სოფელ მრამორკაში, პარტიზანებმა დასწვეს საწყობი გერმანიაში გასაგზავნად გამზადებულ 10 ვაგონ ხორბლიანად.

ჰიტლერული გაზეთების ცინიკური აღიარება

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი (საკდესი). ჰიტლერული გაზეთები ცინიკურად იკვეხნიან იმ ბოროტმოქმედებას, რასაც ჰიტლერელები ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე სჩადიან. მაგალითად, გაზეთმა „დას შვარცე კორპა“ მთელი გვერდი დაუთმო ფოტოსურათებს, სადაც ასახული ბარბაროსული აოხრება, ჰიტლერელები რომ ახდენენ იმ რაიონებში, საიდანაც მათ უკან დაიხიეს წითელი არმიის მიძალების გამო. ერთ-ერთ ამ სურათზე გამოხატულია ცეცხლის ალში გახვეული ბელორუსული სოფლის მთელი რიგი სახლები. უკანა პლანზე ალმოდებულია მთელი სოფელი. მთელი ჰორიზონტი თავით ბოლომდე კვამლშია გახვეული. მეორე სურათზე გამოხატულია ცეცხლმოდებული გლეხთა კარ-მიდამოები.

მეორე ჰიტლერულ გაზეთ „დოიჩე ალგემაინე ციტუნგში“ მოთავსებულია გლეხის დანგრეული ქოხის ფოტოსურათი წარწერით: „დაუნგრეველი არაფერი რჩება ჩვენს მიერ დატოვებულ რაიონებში“.

დაძაბული მდგომარეობა იტალიის ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ რაიონებში

სტოკჰოლმი, 26 დეკემბერი (საკდესი). შვედური გაზეთის „სვენსკა დაგბლადეტის“ ცნობით, ჩრდილოეთ იტალიაში დაძაბულობა სულ უფრო და უფრო იზრდება. 22 დეკემბერს ფლორენციაში სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა მოსახლეობასა და ოკუპანტებს შორის. ბოლონიისა და მრავალი სხვა ქალაქის მოსახლეობას დიდი კონტრიბუციები დაადეს. რომში უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში დაახლოებით სამი ათასამდე კაცი. ყველა მათ ბრალდებათ არალეგალური საქმიანობა და პროპაგანდა საოკუპაციო ხელისუფალთა წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი, 26 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო გადმოგვცემს, იტალიის იმ რაიონებში, რომელიც ოკუპირებულია ჰიტლერელების მიერ, მღელვარება ძლიერდება. ხდება შეტაკებები პარტიზანებსა და გერმანიის ჯარებს შორის. მილანისა და ტურინის რაიონების საოკუპაციო ხელისუფლებმა გამოსცეს ბრძანება, რომელშიც დაბრეტით ემუქრებიან მუშებს, თუ საწარმოებში არ შეწყდა საბოტაჟი. საოკუპაციო ჯარების სარდლობა რკინიგზებზე, სასურსათო საწყობებში და სხვა ობიექტებში იტალიელ მცველებს სცვლის გერმანული ნაწილებით, რადგან მუსოლინის ჯარები არასაკმაოდ საიმედოდ მიაჩნიათ.

წყალქვეშა გვირაბის აგება იაპონიაში

ტოკიო, 26 დეკემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის საგენტო გადმოგვცემს, 31 დეკემბერს დამთავრდება მშენებლობა მეორე წყალქვეშა გვირაბისა, რომელიც ქალ. სიმონოსეკის (კუნძულ სონსიუზე) აკავშირებს ქალ. მოძისთან (კუნძულ კიუსიუზე). გვირაბის მშენებლობა სამ წელიწადსა და ოთხ თვეს გრძელდებოდა.

მამაცი კომკავშირელი პაგრიოტი ქალი

22 წლის ბელორუსი კომკავშირელი ვარია ვირვიჩი ომამდე ინსტიტუტში სწავლობდა. ომი რომ დაიწყო, იგი თავის მეგობრებთან ერთად ფრონტზე წავიდა.

ახალგაზრდა კომკავშირელ ქალს მშობლიური ბელორუსიის მიწა-წყალი იზიდავდა. იგი ფრონტის ხაზზე გადავიდა და სახალხო შურისმგებელ პარტიზანის ძნელ, საგმირო გზას დაადგა. მალე იგი იმ კომკავშირულ-ახალგაზრდული პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი გახდა, რომელიც გომელის ოლქის ქალაქ დობრუშის რაიონში მოქმედებდა.

გერმანელები ნადირობდნენ პარტიზანებზე. დიდ ჯილდოს ჰპირდებოდნენ იმას, ვინც ვარია ვირვიჩს — პარტიზან „კატიას“ დაიჭერდა.

ქალაქში გამოკრული იყო გერმანელი კომენდანტის განცხადება, რომელშიც გერმანიის სარდლობა „კატიას“ დამჭერს ჯილდოდ ჰპირდებოდა 3,000 მარკას, 5 ფუთ მარილს, აგრეთვე 25 ჰექტარ მიწის ნაკვეთს.

მაგრამ ჰიტლერელთა ყველა ცდა — მიეგზავნა გმირ პარტიზანთა კვალისათვის, — უშედეგო აღმოჩნდა. სახალხო შურისმგებლები თავის მოქმედებას განაგრძობდნენ.

ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინეს სახელოვანმა პატრიოტებმა. მათ ლიანდაგიდან გადაგდეს ათობით ეშელონები მტრის ტექნიკანად და ცოცხალ ძალიანად, ისინი ავეცელიბდნენ ფურცლებს.

როდესაც ქალაქი დობრუში განთავისუფლებულ იქნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, ვარია ვირვიჩი იატაკქვეშეთიდან გამოვიდა. ახლა იგი კომკავშირის დობრუშის რაიკომს ხელმძღვანელობს.

სურათზე: კომკავშირელი პარტიზანი „კატია“.

ფოტო ე. კოპიტასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

კიევი დღეს. კოროლენკოს ძეგლი.

ფოტო ნ. სიტნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბიბლიოთეკას დაუბრუნდა ძვირფასი წიგნები

ხარკოვის სახელმწიფო ცენტრალურ უნივერსალურ ბიბლიოთეკასა-ში ომამდე ულანდელ ბისა და წიგნების უმდიდრესი კოლექციაა. გერმანელ-ფაშისტებმა ეს, 50 წლის ისტორიის მქონე ბიბლიოთეკა ბორუშრმა ჰიტლერელ დამპყრობთაგან გადააარჩინა ისტორიული განძი. ყველაზე უფრო ძვირფასი ხელნაწერები და წიგნები რკინის ზანდუკში ჩაწყო და წიგნსაცავის შენობის კიბის ქვეშ ჩაფლა. ორ წელიწადს იყო ეს განძი მიწაში. ამას წინათ ზანდუკი თავი აეჩხადეს. რაც შიგ იყო, ყველაფერი გადარჩენილიყო. აქ იყო იტალიელ არქიტექტორ პირანეზის უძველესი ალბომები, რომელთა ნიმუშებს მარტო ლუვრში ინახავენ, არისტოტელეს კოსმეტიკა „ცის შესახებ“, ევკლიდეს ტრაქტატი „დასაწყისი“, კოპერნიკის, გალილეს, ლომონოსოვის, ლაბაჩევსკის პირველი გამოცემანი, ნაპოლეონის წერილები და სხვ.

გადარჩენილ წიგნთა შორის არის: კარლ მარქსის „კაპიტალის“ პირველი გამოცემა, ვ. ი. ლენინის ბროშურა „სოფლის ღარიბობისადმი“, რომელიც გამოცემულია 1903 წელს ჟენევაში, ი. ბ. სტალინის წიგნის „გაკვრით პარტიულ უთანხმოებებზე“ პირველი გამოცემა.

(საკდესი).

მგს-ებში მოელიან ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს!

ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დამზადება მრეწველობის გადაუდებელი ამოცანაა

საქართველოს მრეწველობის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებს — 26 კომისრის სახელობის ქარხანას, თბილისის ავტოსარემონტო ქარხანას, კალინინის სახელობის ქარხანას და სხვ. მიცემული აქვთ დავალება ტრაქტორებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების გამოშვების შესახებ.

საჭიროა ითქვას, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი დავალების შესრულებას ყველა საწარმოში სათანადო სერიოზულობით არ მოეკიდნენ. ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ, მაგალითად, დავალება ტრაქტორების სათადარიგო ნაწილთა დროულად დამზადების შესახებ ვერ შეასრულა. ასევე ჩამორჩნენ ზოგი სახელოსნო სასწავლებლები, რომელთაც მინდობილი აქვთ ყველაზე მარტივი დეტალების დამზადება. ამ საწარმოთა მიზეზით 15 დეკემბრისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს მიუღებელი ჰქონდათ რამდენიმე ათას მანეთად ღირებული დეტალები.

ტრაქტორებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების დამზადებაში დაწინაურებულ საწარმოთა შორის არის კალინინის სახელობის ქარხანა. 20 დეკემბრისათვის ქარხანამ მთლიანად ჩაბარა სოფლის მომარაგების სამმართველოს და „ავტოტრაქტორსპიტს“ ის დეტალები, რაც წელს უნდა ჩაებარებინა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ამ ქარხანაში დამზადებული დეტალების ხარისხი მაღალია.

მიიღეს თუ არა დავალება ტრაქტორებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების დამზადების შესახებ, ქარხნის დირექციამ ამ დეტალების შესრულებისათვის პასუხისმგებლად გამოჰყო ინჟ. იზიუმსკი. საქარხნო-პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მუშებს განუმარტეს ამ დავალების შესრულების მნიშვნელობა. ქარხნის მთელი საზოგადოებრივი აზრის მობილიზებამ, შინაგანი რესურსების ფართოდ გამოყენებამ ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა ეს ამოცანა წარმატებით შეესრულებინა. განსაკუთრებით დახელოვნდა ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების გამოშვებაში ამხ. არსენიშვილის ბრიგადა, რომელიც დღესაც ამ დავალებაზე მუშაობს და იძლევა მაღალხარისხოვან ფუტალებს.

ამჟამად კალინინის სახელობის ქარხანაში ემზადებიან იმისათვის, რომ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის საჭირო ახალი დეტალების მასობრივად გამოშვებას შეუდგნენ 1944 წლის დასაწყისიდანვე.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში სატრაქტორო დეტალების დამზადება ზუსტად დამუშავებული გრაფიკის მიხედვით ხდება. ის დეტალები, რაც მათ უნდა ჩაებარებინათ 1943 წელს, უკვე ჩაბარებულია, ხოლო ნაწილი ქარხანას მზად აქვს ჩასაბარებლად. სატრაქტორო დეტალების გამოშვებაში აქ ყველაზე უფრო დაწინაურდნენ ხარატი დ. ხანდოგმოშვილი, მეხეთი ვ. ფელიკანოვი და თერმიულ აპარატებზე მომუშავე ამხ. არზუმანოვი. 1 იანვრიდან ქარხნის კოლექტივი შეუდგება 8 სახელწოდების ახალი დეტალების გამოშვებას. ქარხნის ხელმძღვანელობა უკვე შეუდგა მზადებას, რომ იანვრისთვის გათვალისწინებული დეტალების გამოშვება ამ თვითვი უზრუნველყოს საჭირო ნედლეულის მომარაგებით.

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ თუ, სადაც ტრაქტორთა სათადარიგო ნაწილების დამზადებას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, სადაც სოფლის მეურნეობისათვის, საჭირო ამ დაკვეთის დროულად და მაღალხარისხოვან შესრულება თავის საბრძოლო ამოცანად დასახეს — საქმე კარგად წაიოდა. დავალებები ბრწყინვალედ შეასრულეს. მოწინავე ქარხნების ამ გამოცდილებით უნდა ისარგებლონ ამ ქარხნებმა, რომლებიც სატრაქტორო დეტალების გამოშვებაში ამჟამად ჩამორჩენილნი არიან. მგს-ებში მიიღიან ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს!

დ. ამირანიძე

„მეზღვაურის ნაამბობი“

საბლიტგამში საინტერესო წიგნი გამოსცა: ალექსანდრე ჭავჭავაძის „მეზღვაურის ნაამბობი“.

ალ. ჭავჭავაძე ცნობილი მეზღვაური იყო. 1887 წლიდან 1900 წლამდე იგი რუსეთის ნოსინობისა და სატრანსპორტო საზოგადოების გემებზე მუშაობდა ჯერ კაპიტნის თანაშემწედ და შემდეგ კაპიტნად. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იგი შორეულ აღმოსავლეთის ფლოტში ნაღმოსანს მეთაურობდა. პირველ იმპერიალისტურ ომში იგი კრეისერ „მიტავაზე“ უფროსი ოფიცერი იყო, ხოლო 1916 წელს—ბალტიის ზღვის წყალქვეშა ნავების დივიზიონის უფროსი. 1919-20 წლებში ფოთის ნავსადგურის უფროსად მუშაობდა, ხოლო 1923 წელს ბათუმში მისი თაოსნობით გაიხსნა საზღვაო სასწავლებელი, რომელიც ლენინგრადის შემდეგ მეორე საზღვაო სასწავლებელი იყო მთელ საბჭოთა კავშირში. ამავე დროს ალ. ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა შავი ზღვის ფლოტის შექმნაში. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მეზღვაურთა შორის და მისი მოწაფეები დღეს განთქმული საბჭოთა ადმირალები არიან. ალ. ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1925 წელს.

ალ. ჭავჭავაძე განათლებული კაცი იყო, იცოდა ინგლისური, ფრანგული და იტალიური ენები, ეხერხებოდა წერაც. ეს დარჩა ჯერ დაუბეჭდავი საინტერესო დღიურები.

„მეზღვაურის ნაამბობი“ ალ. ჭავჭავაძის ნაწერნობის ერთ პატარა ეპიზოდს ასახავს. იგი ავტორმა გამოაქვეყნა 1893 წელს გაზეთ „კავკაზ-ში“. მოთხრობა საინტერესოდ არის დაწერილი.

წიგნს, რომლის რედაქტორია ვ. ჭიაურელი, წამძღვარებული აქვს პლ. ხუნდაძის მოკლე წინასიტყვაობა. წიგნი შეიცავს 72 გვერდს და ღირს 5 მან.

„ქამთაბერის ასული“

30 დეკემბერს ჰიათურის თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს მ. ჯაფარიძის პიესას „ქამთაბერის ასული“. პიესას სდგამს ახალგაზრდა რეჟისორთა შემოქმედების საკავშირო დათვალიერების მონაწილე რეჟისორი ამხ. ვაშაძე.

ლექციები ჯ მოხსენებები

29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. ზვიადეთის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

29 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში სამოსწავლო შესახვევი № 2/4) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია თემაზე: **სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ა. შ. შტატების წარმომადგენელთა მოსკოვის კონფერენციის და სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში და ინსტიტუტში.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

თეატრებში

29 დეკემბერს: სახელობისა—„ევგენი ონეგინი“. **რუსთაველი**—„ოლეკო დუნდიჩი“. **მარჯანიშვილი** — „მარგარიტა გოტიე“. **გრიბოედოვის** — „თავა და ავი ძაღლი“. **სომხური** — „ლურჯი მანდილი“. **ახუნდოვის**—„ლეილი და მაჯნუნ“. **მოზარდი მაყურებლის** — ქართული—„სკაპენის ოინები“, რუსული—„ოქროს გასაღები“. **მუსკომედიის**—„ხაჯარათი“.

კინოებში

29 დეკემბერს: რუსთაველი — „მელოდე“. **ოქტომბერი**—„მელოდე“. **დამკვრელი**—„3 მუშკეტერი“. **კომკავშირელი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“. **ლუქსემბურგის** სახ. „შვეიკის ახალი თავგადასავალი“. **26 კომ. სახ.**—„გიორგი საკაძე“, მე-2 სერია. **სპარტაკი**—„შვეიკის ახალი თავგადასავალი“.

წითელი არმიის სახლი

29 დეკემბერს კონცერტი

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიმღერისა და ცეკვის ცენტრალური ანსამბლის ჯაზ-ორკესტრისა

ჯაზ-ორკესტრის ხელმძღვანელი **იაკობ ხკომოროვსკი**

დასაწყისი 8 ს. 30 წ. ბილეთები იყიდება წითელი არმიის სახლის სალაროში.

30 დეკემბერს შ. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიმღერისა და ცეკვის ცენტრალური ანსამბლი

სიმფონიური კონცერტი

მონაწილეობენ: **სიმფონიური ორკესტრი, შერეული გუნდი და სოლისტები.**

დირიჟორი ლევ იუნგანი

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი **პოდპოლკოვნიკი ვანო მურადელი**

დასაწყისი 8 ს. 30 წ. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტის თანამშრომლები იუწყებიან ა. ბ. ნოლიანის-გაბუნიას ედის **აგრაფინა დიმენტიეს-ასულ ნოლიანისის** გარდაცვალებას. გამოსვ. 29/XII, 5 ს. ბელინსკის, 3. 1805

ნიკოლოზ, სალომე, ვარლამ, ნატაშა, მურმან ლანჩავები იუწყებიან რძლის **მაშურა კოკანაძე-ლანჩავას** გარდაცვალებას. გამოსვ. 29/XII, 5 ს. კლდიაშვილის, 43. 1804

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო-სატრანსპორტო—3-93-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნიტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 9868

პროფ. ა. ტრაინინი

ჰიტლერელები ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას თავიანთ დანაშაულობათათვის

I.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი სასტიკი და გამანადგურებელი ომები, როგორსაც ჰიტლერული გერმანია და მისი ვასალები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ეწევიან. ეს ომი თავისი ხასიათით მტაცებლურია, ბანდიტური. ჰიტლერული ბანდიტიზ